2024 წლის არჩევნებთან დაკავშირებით შპს სამაუწყებლო კომპანია "ფორმულას" დაკვეთით ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომელიც განახორციელა საერთაშორისო კომპანია Edison Research-მა (**www.edisonresearch.com**).
Edison Research არის ავტორიტეტული და მაღალი პროფესიული სტანდარტის მქონე
ორგანიზაცია, რომელიც იცავს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პროფესიული ქცევისა
და ეთიკის ნორმებს. ამ მიზნით, AAPOR (American Association of Public Opinion Researchers)-ისეთიკის სტანდარტების დაცვითა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

დამკვეთი: შპს "ფორმულა" (ს/კ:405345666), მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. N45, თბილისი, 0177, საქართველო.
კვლევა ფასიანია თუ უფასო: კვლევაში მონაწილე რესპონდენტები არ იხდიან რაიმე სახის საფასურს და გამოკითხვა არის უფასო. კვლევას, სახელშეკრულებო თანხის სანაცვლოდ (ფასით) ახორციელებს Edison Research, შპს „სამაუწყებლო კომპანია ფორმულას" დაკვეთით.
ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა კვლევა: სახელწოდება ოფიციალური რეგისტრაციის მიხედვით: Edison Media Research, Inc; მისამართი: 50 დივიჟენ სთრით სუით 305 სამერვილ, ნიუჯერსი 08876, ამერიკის შეერთებული შტატები.
კვლევის ჩატარების დრო: 25.05.2023-14.06.2023.
გამოკითხვის მეთოდი: პირისპირი გამოკითხვა.
გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანმიმდევრობა:
მხარს უჭერთ თუ ეწინააღმდეგებით საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში?
მხარს უჭერთ თუ ეწინააღმდეგებით საქართველოს გაწევრიანებას ნატოში?
საქართველოს მოსახლეობა/ქართველი ხალხი იმსახურებს იმას, რომ საქართველომ მიიღოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი.
10. როგორია თქვენი მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, რომ 2023 წლის შემოდგომაზე საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს მიიღებს?
11.რამდენად გამართლებულია რუსეთის აგრესიული რეაქცია საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების მცდელობაზე?
12.რომელ შემთხვევაში იქნება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება უკეთ უზრუნველყოფილი, დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობის შემთხვევაში, თუ რუსეთთან?
13.ზოგადად ჩვენი ქყვეყანა ვითარდება სწორი თუ არასწორი მიმართულებით?
14.უნდა შეიწყალოს თუ არა ნიკა გვარამია პრეზიდენტმა?
15.უნდა შეიწყალოს თუ არა მიხეილ სააკაშვილი სალომე ზურაბაშვილმა?
16.გსმენიათ თუ არა ქოლცენტრების შესახებ?
17.ემხრობით თუ არა საგამოძიებო კომისიის შექმნას ქოლცენტრების საკითხის გამოსაძიებლად?

18. ახლახანს აშშ-მ სანქციები დაუწესა რამდენიმე მოსამართლეს საქართველოში. თქვენი აზრით ეს:

1. არ არის სამართლიანი
2.სამართლიანია

19.დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები:

1.ძალიან ეფექტურია/შედეგიანია
2.ნაწილობრივ ეფექტურია/ შედეგიანია
3. არ არის ეფექტური/ შედეგიანი

20.დღეს რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას?

21. მომავალი საპარლამენტო არჩევნების შედეგად, გსურთ, რომ მმართელი პარტია „ქართული ოცნება“ დარჩეს უმრავლესობაში თუ გირჩევნიათ, რომ ახალი პარტია (ები) იხილოთ პარლამენტის მმართველის როლში?

22. ქართულ ოცნებასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის, რომელს მიიჩვნევთ, რომ უკეთესად გაუმკლავდება:

1.უკრაინის დახმარებას
2.კრიმინალს
3.ევროკავშირში გაწევრიანებას
4.ფასების ზრდას
5.უმუშევრობას
6.რუსების მიგრაციას
7.განათლებას
8.საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს
9.გარემოს
10.ჯანდაცვას

23. საქართველოში უფრო მეტად თავისუფალი და დამოუკიდებელი არჩევნების ჩატარებას რა ფაქტორები უშლიან ხელს?

24. ეთანხმებით თუ არა ქვემოთ მოცემულ მოსაზრებას: დასავლეთი ცდილობს საქართველოს ჩართვას ომში.

25. ეთანხმებით თუ არა ქვემოთ მოცემულ მოსაზრებას: ოპოზიცია ცდილობს საქართველოს ჩართვას ომში.

- **შესაძლო ცდომილების ფარგლები:** შესაძლო ცდომილება +/–3% საქართველოს მაშტაბით and+/– 3% თბილისისთვის, 95%-იანი სანდოობის დონისათვის.
- **კვლევაში წარმოდგენილი პოპულაცია/კატეგორია:** საქართველოს მოსახლეობა, რომელთაც აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, არიან 18 წლის ან მეტის.
- **შერჩევის არეალი:** საქართველო (გარდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპირებული ტერიტორიებისა).

შერჩევის ზომა: 1500.

- **შერჩევის ტიპი:** შემთხვევითი შერჩევა (არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე ყველა ადამიანს აქვს თანაბარი შანსი, რომ მოხვდეს შერჩევაში).
- **მოხდა თუ არა მონაცემების შეწონვა:** დიახ, მოსახლეობის აღწერის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სქესის, ასაკის, განათლებისა და რეგიონის პარამეტრებით.
    - **კვლევაში გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი:** 1500 რესპონდენტი, 18+ წლის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შერჩეული რესპონდენტები.
    - **ეფუძნება თუ არა კვლევა ყველა გამოკითხულის აზრს:** შედეგები ემყარება რესპონდენტების პასუხებს კითხვარებზე, რომელიც გამიზნულია ასახოს კვლევაში მონაწილე თითოეული რესპონდენტის მიერ გაკეთებული არჩევანი კონკრეტულ საკითხებზე. მონაცემები მოიცავს ყველა რესპონდენტის მოსაზრებას, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კვლევაში.

იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც უარი განაცხადეს გამოკითხვაში მონაწილეობაზე, არ გასცეს კითხვას პასუხი ან რომელთა გამოკითხვაც ვერ მოხერხდა:

	რაოდენობა	**%**
1. არავინ ცხოვრობს	168	რესპონდენტისგან დამოუკიდებელი უარი
2. არავინ აღებს კარს, სახლში არავინაა	88	3.4%
3. ადამიანი ვისაც დავეკონტაქტეთ უარს ამბობს თანამშრომლობაზე	409	15.9%
4. არ შეეფერება მოთხოვნას (ტურისტი ან დროებით ჩამოსული უცხოელი)	19	0.7%
5. ოჯახში არ ცხოვრობს საჭირო სქესის ადამიანი	97	რესპონდენტისგან დამოუკიდებელი უარი
6. დაბადების დღის მიხედვით შერჩეული რესპონდენტი სახლში არ არის	23	0.9%
7. შერჩეული რესპონდენტი უარს ამბობს ინტერვიუზე	308	12.0%
8. არ შეუძლია პასუხის გაცემა (ნასვამი, ავადმყოფი, და ა.შ.)	61	2.4%
9. არ შეეფერება მოთხოვნას (არ აქვს ხმის მიცემის უფლება)	147	რესპონდენტისგან დამოუკიდებელი უარი
10. შერჩეული რესპონდენტი ყოველდღე გვიან ბრუნდება და მასთან დაკონტაქტება შეუძლებელია	93	3.6%
11. ენობრივი ბარიერი	33	1.3%
12. სხვა მიზეზი	34	1.3%
13. წარმატებული ინტერვიუ	**1,500**	58.4%
ჯამი	**2,980**	**100%**

ინფორმაცია სხვა ნებისმიერი ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შედეგებზე: მონაცემები ეფუძნება 25.05.2023-14.06.2023 არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე 18+ წლის შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გამოკითხულ 1500 რესპონდენტთა აზრს. დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: info@edisonresearch.com. www.edisonresearch.com